ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3239784

ნომერი: AR1497614

თარიღი : 22.04.2017

გაცემის თარიღი : 02.05.2017

გაცნობის თარიღი : 03.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ტლაშაძე პ/ნ 01013007590
- თბილისი ზ.დუმბაძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

22 აპრილის №AR1497614 განცხადებით მომართა მოქ. მარინე ტლაშამემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი #63, შპს ,,ელზუროს" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. N 01.18.06.005.056) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა N1–ის არქიტექტურული პროექტი.

ასევე სამსახურის 2017 წლის 08 აპრილის №3208978 ბრძანებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში გასწორდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად მიეთითა 27 920 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითა 14 334 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითა 3258,5 კვ.მ, ასევე 2017 წლის 08 აპრილის №3208978 ბრძანებიდან ამოღებულ იქნა სარდაფის ფართობი.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად მითითებულია 2580.4 კვ.მ ნაცვლად 2511.6 კვ.მ-სა, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 2083.5 კვ.მ ნაცვლად 2024.3 კვ.მ-სა საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 14 334.5 კვ.მ ნაცვლად 10968.2 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 3258,5 კვ.მ ნაცვლად 3665.3 კვ.მ-სა, სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 67.2 კვ.მ, ასევე განმცხადებელმა მოითხოვა 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების თანდართული საპროექტო გეგმების, 2017 წლის 22 აპრილის №AR1497614 განაცხადების, 2017 წლის 30 აპრილის შეტყობინებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.

სამსახურმა 2017 წლის 22 აპრილის №AR1497614 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად მიეთითოს 2511.6 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 2024.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 10968.2 კვ.მ საზაფხულო ფართობად მიეთითოს 3665.3 კვ.მ ამავე ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 67.2 კვ.მ, ჩანაცვლდეს 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანების თანდართული საპროექტო გეგმები, 2017 წლის 22 აპრილის №AR1497614 განაცხადების, 2017 წლის 30 აპრილის შეტყობინებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2404850 ბრძანებასთან ერთად ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი

ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.